კვირა, 20 სექტემბერი 1915 წ. ფასი 10 კაპ.

ეშმაკიკ მათრახი

იუმორისტ. ჟურნალი

№ 20

გ ა ნ ს ა ც დ ე ლ ი



ორი საქრთო.

ხელში რო კალამს ავიღებ,
თვალთ წინ მიდგება
ეს ორი:

— მუზა—(ედემის მშვენება!!!)
და საყვარელი—ცენზორი—
ვეტრფი ერთს!
ვეტრფი მეორეს!!
(მიტოკავს გული, წყეული!)

და ვიტანჯები,
და ვიწვი,
ტრფობისგან გადარეული!..
რომელს მივენდო?
არ ვიცი....
ამა, თუ იმა მხარესა?!
ოჰ, რა გენიის ცეცხლი მწვავს!
ოჰ, რა ჭირს ვზიდავ მწარესა!!

მუზას ვეუფლო?
მაშინ ხომ
უნდა ვსთქვა ზრახვა გულისა
და აღვადგინო სასახლე
იმედის, დაკარგულისა?!
მაშინ ხომ უნდა ავყარი
ბორკილი მძიმე, ენასა,
ხომ უნდა მივსცე
გზა ვრცელი
ფარულ გულისთქმათ დენასა?
ხომ უნდა ვსწერო მაშინ ის,
რაც გულს დრმად ჩამიკვერია,
რაც ენის წვერზე არ მჯდარა
რაც ჯერ არ დამიწერია?
ხომ უნდა შევსძრა დიდის ხნის
ხავს მოდებული ბანაკი?
და რომც სურვილმა წამიღოს
შევსძლებ ამ საქმეს
განა კი???

ცენზორს მივენდო?
მაშინ ხომ
მუზამ შორს პირი იბრუნა,
უპირისუფლო ეშმაკზე
მარტო ცენზორმა იზრუნა?
მაშინ ის მეტყვის:
— ეშმაკო!
ვხედავ აზრს ველარ მალამო,
შენს ენას
კლიტე სჭირია...
ნაწერს —
წითელი მალამო...
აჰხაზ-ჩაჰხაზავს აქა-იქ..
ოთხკუთხად,
ჯვარედინათა
და თეთრი არე დარჩება,
სად ლექსი იყო წინათა.
ვერა, ვერა ვიქმ ავ საქმეს...
მე სამი სატრფო მჭირია
მე მუზაც მიყვარს, ცენზორიც..
(და ცენზორთან ხომ ჩხირია!)

ავიღებ კალამს თუ არა,
წინ დამიდგება ეს ორი:
— მუზა —(უტკბესი ყოვლისა!)
და გულის სატრფო—ცენზორი—
ვეტრფი ერთს,
ვეტრფი მეორეს!
ჭირსა ვჭამ ამას, იმასა
თვალზე არ მშრება კურცხალი
ცრემლის ვაწვიმებ წვიმასა!
მაგრამ არ იქნა,...
არ იქნა,...
ვერ შევათანხმე ეს ორი:
ხან მუზა მიბღვერს მრისხანე,
ხან კი,
ბატონი ცენზორი!

ღმერთო! ჰა ღმერთო ძლიერო!
მაკმარე ტანჯვა ესდენი..
ან შეათანხმე როგორმე,
და შეარიგე ეგენი!..

ეშმაკი.

ჯოჯოხეთში.

მთა-ტყის კალთებში ჩაღვრემილ სოფელს
თავს დასცქეროდა კლდე-ქედის ზღუდე;
ზედ ცრემლად მომსკდარ რუების პირათ
ქოხები სჩანდენ, ვით მერცხლის ბუდე.

ერთ იმათგანში ცოფ-მორეული
ძუძუებ გლეჯით მსთქვამდა დედა
შვილს დედის ერთას ოჯახის სანჩხვეს*)
გმირათ დაცემულს ბრძოლის ველზედა.

მას იცოდვებდა რგვინვით ჰგოდებდა,
შავი ღრუბლებით ცრემლს ღვრიდა ზეცა,
იმეორებდა რა დედის სიტყვებს
მოსთქვამდა გალმით პიტალო კლდეცა.
(მიკვირდა კიდეც კლდის მეტყველება
ეგზომ მკაფიოდ ვისმენდი მეცა).

—„შვილო ბიჭიავ, ჩემო ვაჟკაცო,
ნაწყვეტო დედის სულის, გულისო,
ოხრად დამგდებო პარტახ ქოხმახის
და დედიშენის ცოდვით კრულისო.

ვისგან მოესპო შენს ტანჯულს მშობელს
შენი იმედი და შენი მზერა
რომელ მტარვალის ხელმა ჩააქრო
ასე ულმერთოთ ობოლი კერა?

შენის ცეცხლიდან დამწვარს შენს დედას
„ვკვდები დედაო“ თუ დაუძახე
როცა დაკოდილს სისხლი გდიოდა
იქნებ მწყურვალემ წყალიც ვერ ნახე.

“.

მას ჩემთან ერთად უსმენდა მიწაც
ყველაფერ ამას მსაჯულის ყურით,
თანაც მდუღარე ცრემლთა ნიაღვარს
თავის ცეცხლის გულს აწვდიდა შურით.
რომ შეერთებულ ძალთა სტიქიონს
ამოეხეთქა ქვესკნელით არხი
ქვეშ მოეტანა ქვეყნის ვარამი
ცხოვრების ლეში და დასამარხი.
თან ამ პროცესში მიწის ძვრისაგან
ვაკედ**) ქცეული კლდე და გორები
განიკითხავდენ დედის საჩივარს
არ დარჩებოდა გაუსწორები.

რაც მოგახსენეთ ქაჯთა მეფეო
ნუ გეგონება ფანტასტიური
ან ვინმე მგოსნის შემოქმედება
ზეშთაგონება, მადლი ციური.
მოციქული ვარ ჯოჯოხეთიდან
ლოყებ დაკაწრულ მომჩივან დედის,
შვილის დამკარგველს რომ შვილის-შვილიც
აღარ დაუჩეს ამავე ბედის.

ბუტუნა.

*) სანჩხვე (გურიაში) სათესლე-სამრავლო-სამემკვიდრეო.

**) ვაკე—სწორი.



კახეთის რკინის გზაზედ.

კონდუქტორი. მოითმინეთ ქალბატონო.

მგზავრი. რატომ? მესამე უკვე დარეკეს.

კონდუქტორი. არ შეიძლება შესვლა. ეს პარკი ბაგაჟათ უნდა მისცეთ.

მგზავრი. რაო? რედიკული ბაგაჟათ? შიგ ცხვირსახოცი მაქვს...

კოდუქტორი. რა ვქნა ბატონო, ბაგაჟათ უნდა მისცეთ. Это отъ не насъ зависитъ.

ორი ცხენი.

ივანე ხვიჩილაძეს ორი ცხენი ჰყავდა:
უფროსი,—„ლურჯა“.
უმცროსი,—„კუდა“.

ლურჯაზე თითონ პატრონი ჯდებოდა, ზოგჯერ (იშვიათად) ვინმე საპატიო (და თანაც საიმედო პირს) მიაქირავებდა, თუ ათხოვებდა ხოლმე.

კუდა, საზოგადო სათრეველა იყო. ის ივანეს დუქანში ება, თითქმის უნაგირ მოუხდელად და ვისაც კი ცხენი დასჭირდებოდა, ყველა სარგებლობდა. უმეტესი ტანჯვა საბრალო კუდას ფერშალი თედორესაგან ედგა, თუმცა მამასახლისი ზოსიმეც არ აკლებდა ხელს. საზოგადოთ კი იშვიათი იყო იმ უბანში კაცი, რომელსაც ერთხელ მაინც არ ჩაეწყვეტოს გულ-ღვიძლი კუდაზე ჩანჩალით. ყველა უმადური იყო იმისი ტარების, მაგრამ ყველა იმას ეპოტინებოდა, ვინაიდან იაფი და თანაც ადვილი საშოვარი იყო.

მიუხედავად ამისა გარეგნული შეხედულება კუდას მეგობარზე უკეთესი ჰქონდა და ვინც ახლო არ იცნობდა მათ ღირსებას, უეჭველია შეცთომაში შეიდოდა.

მეხუთე წელიწადია ისინი ერთად ცხოვრობენ და ჯერ არც უსიამოვნება მოსვლიათ, არც ხანგრძლივათ გაშორებიან ერთმანეთს. როცა საღამოთი ოფლში გაწურული კუდა შინ ბრუნდებოდა, არხეინათ მობალახე ლურჯა მხიარული ხვიხვინით ეგებებოდა მას და მწუხარების უქარვებდა.

როცა ევროპის ცაზე შავი ღრუბელი ჩამოწვა და ჰაერში წამლის სუნი დადგა, მეგობრები ერთმანეთს დროებით ეთხოვებოდენ. ივანე ხვიჩილაძე ავის ლურჯას მთაზე აგზავნიდა საბალახოთ, დასაფენებლათ, ხოლო ბედშავი კუდა შინ უნდა დარჩენილიყო და ყოველდღიური ჭაპანწყვეტა ეწია.

იმ სოფელში, სადაც ივანე ხვიჩილაძეს, გზა ბარადინის ერთ-ერთ კუთხეში ობობას ქსელივით ჩაედგა თავისი სავაჭრო დუქანი, გაზეთები ავის არ მოსდიოდა. თუ საქონელს მოჰყვებოდა ნდისხან სახვევ ქაღალდად, ისიც რასაკვირველია ბოდენიმე თვის, თუ წლის წინანდელი და ყოველივე ინტერეს მოკლებული იყო.

ალბად ამ გარამოებით უნდა აიხსნას, რომ, თუ კუდას, თვით ლურჯასაც ოდნავ არ ჰქონდა გათვალისწინებული პოლიტიკური მომენტის სიდიადე. კულტურულ ცენტრებში გავრცელებული მიმოთქმა მოსალოდნელი ომის შესახებ ამათ სოფელს რამოდენიმე თვის შემდეგ თუ მოუწევდა.

აი, ამიტომ, სრულიად უჩვეულო და თითქმის თავზარდამცემი დარჩა კუდასათვის მოულოდნელათ გამოცხადებული მობილიზაცია. სხვა ცხენებთან ერთად ისიც წაიყვანეს დანიშნულ ალაგს შესამოწმებლათ და გზაში ბევრი რამ უცხო და ახალი გაიგონა: გერმანია, ავსტრია, ფრანცია, ბელჰელმი, ბელგია, და თვით სიტყვა მობილიზაცია პირველად ესმოდა. ვის არ შეეკითხა, ვის არ მიმიმართა მან, მაგრამ ვერავისგან ვერაფერი გაიგო, ვიდრე ზინგერის აგენტის ნაყოლ ოქროს ფერ ცხენს არ მიადგა. ის ამ ერთი კვირის წინ ჩამოეყვანა პატრონს დიდი ქალაქიდან, სადაც უკვე იცოდენ ყველა ეს სიტყვები და ათასი კადევ სხვა, უფრო უცნაურები.

კუდას ძლიერ მოეწონა თაფლას გონიერი სახე, ჭკვიანური ლაპარაკი, მისი ღრმა ცოდნა მძიმე საგნებისა, მისი ლოდიკა და განსაცვიფრებელი მიხვრა მოხვრა, იმისი უბრალო ხასიათი, ძალდაუტანებელი თავდაჭერილობა და პატივისცემასთან ერთად კუდას გულში შურის გრძნობამაც დაისადგურა

როდესაც იმისი ჯერი მიდგა, კუდასაც მოუახლოვდა რამოდენიმე. „პრისტავი“ (კუდას აზრით ვისაც მხრებზე პაგონი ეკერა ყველა ბოქაული იყო.) გასინჯეს თავით ფეხებამდე, მოიწონეს და მიიღეს.

კუდას ძლიერ ეუცხოვა ივანე ხვიჩილაძის წუხილი. მან გზაზედვე გადასცა რაღაც პატარა ლურჯი ქაღალდი სოფლის მწერალს და უთხრა:

—ორი სიტყვა დახარჯე, მეტი არც უნდა, რავა დავიჯერო ამას მოიწონებენ და წაიყვანენო.

ახლა, როცა კუდა მედიდურად ჩაერია რჩეულთა შორის, ივანე ხვინჩილაძე მკვდარს დაემსგავსა. მწერალი განზე გაიხმო და რაღაცაზე ცხარე ლაპარაკი დაუწყო.

—ოჯო, შენ სადარდელი არაფერი გაქ. ამ გლახას გაშორებენ და ის კარგი ხომ სახლში გრჩება

ეს სიტყვები ლახვარსავით მოხვდა გულში საბრალო კუდას და ააცახცახა.

მეორე დღეს კუდა და მისი მეგობრები უკვე რკინის ფზის სადგურთან იდგენ და რაღაც გოგრებიან წითელ სახლში შეჰყავდათ.

(შემდეგი იქნება)

მორიელი

ონისიმეს სიმამაცე.

(იმერული სცენა)

— ერთხელ, ჩემო ალფეზ, გამეიყვანეს ჩვენი „როტა“ სამორად და ჩასხეს აკოპებში. ჩავჯექი მეც. მევიგდე თოფი ხელში, და ვუცდი: როდის ამოყოფს გერმანელი „აკოპიდან“ თავს, რომ სტუ-ცო შუბლში ცხელი ტყვია. თოფის სროლაა გა-ჩაღებული, უცბად იგრიალა გერმანელების გაუბი-ცამ და გამოაფურთხა ჩაენსკენ თავის უშველებე-ლი ყუმბარა. ვხედავ მოდის პირდაპირ ჩვენი „რო-ტისკენ“ ეს ვეება ტყვია-წამალი. „აბა, ონისიმე, თუ გინდა მიიღო ჯვარ მენდალი ახლა გამეიჩინე ბიჭობა“—გევიფიქრე და წამოვხტენი ზეზეთ. ესაა —უნდა დავარდეს ყუმბარა, და აგვიტანს კიდეც თელ „როტას“ ჰაერში. გეფექანე... ვკარი წიხლი შიგ ცხვირში და გამოვბრუნდი „აკოპებისკენ“. იბრუნა პირი ყუმბარამ, წევიდა გრიალით და შიგ შუაგულ გერმანელების ჯარში გაადინა რეხვა...

— სტორა დადექი, ონისიმე... ჰო, მაგრე... უყურე ახლა ამ თოფს. ბერდენკაა, როგორც ხე-დავ. მე გამევისვრი და შენ ქე ჰკარი ხელი ტყვიას და ჩემსკენ დააბრუნე.

— აჰ, აჰ, აჰ! ნუ იზამ მაგას, ალფეზ ჩემო.

— ხა! ხა! ხა! რატომ, ბოშო? თუ კი გაუ-ბიცის ყუმბარას დოუდექი წინ და უკან გააბრუნე, „ბერდანკის“ ტყვიამ რაღა დაგიშავა, რომ არ გინ-და ხელით დაჭერა მისი?

— კი მაგრამ... იმე, შე კაცო, ბერდენკის ტყვია ერთი ფინჩხაა რავა დევინახო'..

გუგული.

საამდროო კუპლეტები.

გომახურის სამკითხველოს
დაუშვია ყურები,
ძველ გამგეებს ფულსა სთხოვს
ის, კუჭ შენახურები.

—

ლანჩუთლების „სტარშინას“
უქებ „მამაცობასა“...
რა ვუყოთ რომ ხანდისხან
სჩადის მკლავაძობასა.

—

მკლავაძე მეორეც გვყავს:
ქუჩის ლოთი ქებული,
ძმა ბიჭ კორესპონდენტით
ცამდე აფორთხებული.

—

ერთი ფთხვენით თეატრში
ლაგამი წაიყარა
და აქაურ მოვაჭრეს
ტლინკები მიაყარა.

—

ბლომათა გყვავს ჩარჩებიც
მოვაჭრე შეშებისა...
(იმათში იასონი
ღირსი არის ქებისა!)

—

შეშის გამყიდველ მუშებს
უგებს მახეს შარებსა
და თუ კი მოახერხა
არვის გაახარებსა

—

წელიწადიც კარგი გვაქვს
გამოხინკილებული.
არცა ვსწუხვართ, არც ვსტირით
ვცხოვრობთ დამშვიდებული.

კავალერი.



ახია ჩემზე.

(სტრაჯნიკის ნაამბობი)

არეულობა, რომ დეიწყო, სტორეთ ი[illegible] ლიწადს გავათავე სამსახური „სტრელების ზ[illegible] კით“. ჩავედი სოფელში და მითხრეს:—ახალ [illegible] ბაში ჩიეწერეო. ვიკითხე:

—ჯამაგირს რას აძლევთ ახალთაობის კა[illegible] თქინ?

— რას ვაძლევთ და აფერსო...

—არა ძამია, უფულოთ არც ახალი თაობა მინდა არც ძველი მეთქი.,. გევედი „კანცელარიაზე“ და ჩვენს მწერალს იმისთანა თხოვნა დავაწერიე ვისზედაც საჭირო იყო, რომე ქვას გახეთქდა... მოგეცა ღვთის წყალობა, მალე „სტრაჟნიკის“ ტანისამოსში გამოწყობილი, ფალასკითა და თოფით დავაჭენებდი ცხენს ხან ერთს სოფელში და ხან მეორეში. ჯამაგირი ძაან სახარბიელო არ იყო, მარა გული სულ ასე მიჩივოდა:—მეიცა პაწაი რაცხას კი გადიეყრები, რაცხა კი ჩაგივარდება ხელში, და ერთ ხუთ ქცევა საყანე მიწას ვიყიდი, ერთს კას ვოდას დევიდგამ მივეწყობი გემოზე და ჩემს ახალ თაობის მეზობლებს გულზე შევაკლამ მეთქი.

ერთიგზობა ჩემმა უმფროსმა „ლაპორტი“ გამატანა „ვეზდნი ნაჩანიკთან“. შემოვკარი მათრახი ცხენს და ფრიწინ ფრიწინით წევედი მოკენჭულზე. გევიხედე, ვინცხა ლამაზად ჩაცმული ქალაქის კაცი მოსეირნობს. ვიფიქრე: აგი ვინცხაა, რაცხა დიდი სიციალისტი კი უნდა იყოს მეთქი და უბძანე, გაჩერებულიყო. ჩამოვხტი ცხენიდან, დავარტყი „ვობისკი“ და იმხელა „პორტმანი“ უნახე ჯიბეში, რომე სტორეთ ჩვიდმეტი ათასი მანათი ჩიეტეოდა შით. შევატყვე, რომ აქანე რაცხას კი გამოვრჩები მეთქინ და უთხარი

თუ მომცემ ას მანათს გაგიშობ, თუ არა და დაგიჭირავ მეთქი

დამიჭირეო, მითხრა.

შევჟედი ცხენზე, ერთი-ორი მათრახი უთავაზე ამას და გევიგდე წინ. მერე გზაში დუჟწყე ვაჭრობა, ასი მანეთიდან სამზე ჩამოვედი, მარა რა ბრძანებაა, კაპეიკიც არ მომცა და აგიც მითხრა:

—მე შენ გიჩვენებ სეირს, როცა „ნაჩანიქთან“ მივალთო. ვიფიქრე მართლა აფერი ხლაფორთი ამიტეხოს მეთქი და გავათავისუფლე, მარა თქვენც არ მომიკვდეთ! გამომეკიდა აგი ჩემი „არესტანტი“ ფეხ და ფეხ და მომდევს უკან.

პაწე ქე ევიბუძგე ტანში, მარა რა ვქნა ახლა, ველარ მევიშორე. ვიფიქრე, ვიფიქრე და ბოლოს ასე გადავწყიტე: მართალია ჩემდა კი დეიკარგება, მარა მეტი გზაი არაა უნდა უთხრა „ნაჩანიქს“ რომ ჯიბეში „ბრაუნიგის რევოლვერი“ ჰქონდა მეთქი. მივედი „ნაჩანიქთან“, ოუღე „ჩესტი“, მივართვი „ლაპორტი“, ამევიღე ჯიბიდან ჩემი „ბრაუნინგი“ დოუდევი სტოლზე და უთხარი:

— გზაში ერთი კაცი, დევიჭირე „ვობისკი“ დავარტყი და აგი უნახე ჯიბეში მეთქი.

—„მალადეცო“ მითხრა მარა ვაი ამისთანა „მალადეცობას“. შემოვიდა ჩემი ტუსაღი თუ არა, წამოხტა „ნაჩანიქი“ და უთხრა:

—Ти что такъ скора пришла-ъ?

მაშვინ კი ამივარდა მუხლებში კანკალი. დოუჯდა გვერდზე და მოუყვა ყორიფელს კაკლა კაკლად. „ნაჩანიქმა“ გადაატრიალა თვალები წამუარდა ცოფიანსავით, იგი იყო უნდა მტეკებოდა, მარა ისევლე ჩემმა ტუსაღმა გადამარჩინა. გამიყვანა ცალკე ოთახში და დამიწყო მშვენიერი მუსაიფი ასე ნაირად:

—შე ვირო, შენა? ნაჩანიქი ჩემი სიძეა, იგი შენი „ბრაუნიგი“, რომ დაუდევი იქინე იმას მართლა მე წევიღებ, რაღგანაც მოწმობა მაქვს და „ბრაუნინგი“ ჯერ არ მიყიდია. რაც შეეხება ჩემს ცემას, სამაგიერო არც შენ გაწყენს (და მართლაც ორი სილა იმისთანე გამცხო, რომ მთელ საათს ყურებს ჭუილ ჭუილი გაჰქონდა) მართალია სოციალისტი არ ვარ, მარა არც თლათ ხულიგანი ვარ. ახლა მე ვსთხოვ ჩემს სიძეს, რომ ყველაფერი გაპატიოს, ხოლო იმ პირობით კი, რომ განცხადება შეიტანე სადაც საჭიროა და სამსახურიდან გაბრძანდი.

ასე შერცხვენილი, გალახული და თავსლაფ დასხმული გამომაგდეს სამსახურიდან. მივედი სოსოფელში, ახლა ჩემმა მეზობლებმა მიქნეს ბოიკოტი. აღარც ახალ თაობაში მიმიღეს და აღარც ძველში, ახია ჩემზე.

„რაც მოგივა დავითაო ყველა შენი თავითაო“

რ. ჯიბილ.



თეთრი ბლოკი.



პ. მილიუკოვი. ეგ რა ღვთის რისხვაა, რატომ არ მიაქვს?
მაკლაკოვი. ყვონებ „ზეთი“ აკლია!

შავი ბლოკი.



მარკოვი II. — ბლოკი საუკეთესო ღირსების ეგ შავი ბლოკია! არა თუ სამინისტრო პორთფელს, თუ გინდა მთელ დუმას ასწევს.

შარადა

ჩვენ რომ ფრინველის სახელი
ამ შარადისთვის გვჭირია
იგი თბილ ქვეყნებს არ ეძებს
ზამთარში უფრო ხშირია
ეტრფის გაზაფხულს, საამოს...
მზის ნახვა ისე სწყურია
რომ მას უგალობს ტკბილ კენესის
ვით მწყემსის სალამურია.
მგოსნებმაც ხშირათ იციან
იმის სახელის ხსენება...
(მტერს რომ „შაება აჯობა"
ალბათ თქვენც მოგეხსენება.)
ამ სახელს ერთი ასო აქვს
შვაზე კავშირის გვარათა;
იგი მოვსწყვიტოთ ამ ჟამათ
არ გვინდა მოსახმარარა.
რაც დაგვრჩეს შარადისათვის
იგი უკლებლათ გვჭირია
და თანაც ქუთაისისკენ
უნდა ვიბრუნოთ პირია.
იქ მივალთ ერთი მცენარის
საპოვნათ, მოსანახათა...
იარაღათაც ხმარობენ
საქმე თუ მიდის გლახათა.
რომლის ხმარების იმ ერთ ჯგუფს
ეკუთვნის მონოპოლია.
რადგან სამშობლოს დამცველნი
თურმე იმათში ჰყოლია.
თუ ვინმე ნახეს კრიტიკით
სიმართლის მოუბარეთა
აღთქმულ მცენარის ძირებით
შელუღს უზამენ ცხარეთა.
სახელის პირველ მარცვალში
ასო მეორე მეტია
და, რაკი შესდგა შერედა,
მეც ახსნა შემიწყვეტია.
რითაც ზუბრები აჩერებს
წინ ისტორიის მსვლელობას
რითაც ლამობენ უწმინდეს
აზრის და საქმის მკვლელობას.
უფრთხიან ქვეყნის გინწმენდას
ცხოვრების განახლებასა
რადგან პასუხის უგებლათ
აღარ მისცემენ ნებასა.

ამ კითხვის ირგვლივ ტრიალებს
ქვეყნის აზრი და გონება...
ვნახოთ ვინ დასძლევს ბრძოლაში,
ან ვინ ვის დაემონება.

ბუტუნა.

გურული ენაკვიმატები.

III.

სირია გიგინეიშვილი.

გადმოლმა გურიაში სირია გიგინეიშვილი დიდი ცნობილი აზნაური იყო. გურიელების აზნაური მამიასთან ერთად სასახლეში აღზრდილი, მწიგნობარი და დიდი ენა-მახვილი კაცი იყო. მოციქულად, შვა-კაცად, საქმის გამრიგეთ სირიასთანა მოჰახრაკებულს ძნელად ნახავდით. მისი ენა სწორედ ისეთი იყო შოთა რომ ამბობს: „გველსა ხვრელით ამოიყვანსო". შორს გამჭვრეტი და ჭკვიანი კაციც იყო, როდის რა უჯობდა ყოველთვის მიხვდებოდა. განმანთავისუფლებელ მოძრაობას აღტაცებით მიეგება. 70 წლის მოხუცი ახალგაზრდებს ეყვა და არც ერთ კრებას არ აკლდებოდა. გლეხებში ისე გაშინაურდა ეს გუშინდელი „ფეოდალი" აზნაური, რომ ფარულ კრებებს ხშირად თავმჯდომარეობდა. ბევრს არ სჯეროდა მისი გულწრფელობა, ბევრმა კარგად იცოდა სირიას მწამსი: „ამყოლს აყევი დამყოლს დაყევი", „იქცეოდეს შეესიე, შენდებოდეს შეეწიე", „დათვი მოგერიოს ბაბაი დაუძახე" და სხვა. იცოდენ, რომ როცა სხვასიო დაბერავდა სირიაც იქით გადაიხრებოდა, რჯულს გამოიცვლიდა, მაგრამ დღეს სირია ბელადი იყო. არას სცოდავდა ვის რა ეთქმოდა.

დაბერა ჩრდილოეთის ქარმა, ამოვარდა ჭალიკონი, აგიტატორის ადგილი ტოლმაჩოვმა დაიჭირა, პრაპაგანდისტის—მიქიაშვილმა. სირიას ქამელეონობაც გამოჩნდა, ისიც იმათ ბანაკს შეეხიზნა, შვამავლობა დაიწყო და კიდეც შეეწირა მსხვერპლად.....

—

იანვარია... ოზურგეთი უკვე გადაანათეს... ტოლმაჩევი თავის დამსჯელი რაზმით აცანის საზოგადოებაში დგას და ითხოვს ყველა მახლობელი საზოგადოებიდან იახლოს ქუდზე კაცი საეკლესიო დროშებით და ხატებით მორჩილება შეფიცონ. საზოგადოებებში კრებები იმართება. ირჩევა კითხვა იახლონ, თუ არა. ზოგი წინააღმდეგია ბრძანების ასრულების, ზოგი და მათ შორის სირიაც თავგამოდებით იცავს ერთგულების ტაქტიკას.

— სხვას კიდევ ხო კიდევ აქვს სათქმელი, მარა მიკვირს ამხანაგი სირია რა პირით ამბობს შერიგებას და დათმობას, ის არ იყო გუშინ რომ ძირს, ძირსო იძახოდა და ვინც მისი მომხრე არ ვიყავით ყველას მიწასთან გვასწორებდა, რეაქციონერს გვიძახდა.—პირში ამხელენ სირიას. სირია წარბ შეუხრელად უპასუხებს:

— მატყუებდი—გატყუებდი, რავარც შენ გიყვარდი ისე მე მიყვარდი. აგი რა უნდა იყოს, აცანაში*) კი არა თუ გიბრძანა ქუთაისში ფორთხვით ახვალ. დავი უთხარი—დავბასე გითხრა, თუ შეგიძლია დავბაჩარე უთხარი და თუ არ შეგიძლია და „ნაგულაი“ გააძვირე გაფასდი...

პერპეტუმ მობილე.

გაფიცვა სამეგრელოში.

სოფელ საბოკუჩაოში, გარდაცვლილ ბოკუჩავას დასაფლავების დღეს, „ერთი მიმართულების“ მიერ გავრცელებულ მავნე იდეის მატარებელ პირმა, ქელეხის წინააღმდეგ გაილაშქრა, რამაც მოხევეთა შორის დიდი ალიაქოთი გამოიწვია. შეკრბენ და დაადგინეს: პირველად ყოვლისა ვღებულობთ რა მხედველობაში იმ გარემოებას, რომ ჩვეულებისამებრ დაიმედებულთ გვეგონა აქ ამ მშიერ კუპს ერთხელ მაინც გამოვიძღებით. ამასთან ერთად (ერთი ქართველი „მკვლევარის“ თანახმად) ძველი ზნე-ჩვეულების მოსპობას აუცილებლად უნდა მოჰყვეს მეგრელი „ერის“ გადაგვარებ-გადაშენება. ვადგენთ: არც ერთმა ჩვენგანმა და არც მონათესავემ რაგინდ შორებული იყოს, აქ საქმელი არ ჭამოს და არც „ზედაშე“ დალიოს. მასთან ერთად პროტესტს ვაცხადებთ ხსენებული იდეის წინააღმდეგ და პატივი და დიდება ძველი ზნე-ჩვეულების დამცველთ. აღსანიშნავია, რომ ასეთი ერთ სულოვანი გაფიცვა პირველია სამეგრელოში (ალბად თავისი ინტერესები ახლა შეიგნო ხალხმა?)

საქმეში ადგილობრივი პოლიცია ჩიერია და 5 მეთაურთაგანი საგუბერნიო ციხეში გაიგზავნა. ყველა ამით, როგორც პოლიტიკურ გაფიცვის მომწყობთ ალბათ 102 სტ. ძალით გასამართლება მოელის. დანარჩენებს ჯერ-ჯერობით ვერ მიუდგენ, რადგანაც დამნაშავეები „დიდ ტალახში“ იფარავდენ თავს. ამ დღეებში მოსალოდნელია ჩაფრები ჰაეროპლანებით დაესხან თავს... დიახ ბ. ეშმაკო აღსრულდა! კართაგენი დაინგრა ჩვენი გლეხობა პოლიტიკურ გაფიცვებში ჩაება?!

სათარხანი.

*) ეს ამბავი ჯურუყვეთში იყო, სირიას სოფელში.

დასავლეთ საქართველოს
მევენახეთა საზოგადოება
„ალექსანდროული“

5 ივლისიდან დაიწყო

ღვინით ვაჭრობა

რაჭა-ლეჩხუმის (ყიფიანის), სვირის, ქართლის და სხვა ღვინოები. **ოლგას ქუჩა. სახლი № 8.**

ყოველდღიური სპორტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო გაზეთი

„თანამედროვე აზრი“

ფასი წლით 7 მ. ნახევ. წლ. 4 მ. 1 თვით 90 კ. ცალკე № 5 კ.

ადრესი: ფულის და წერილების გამოსაგზავნი; Тифлисъ почт. ящ. 199 Евгенію Илларіоновичу Урушадзе.

კანტორა: თფილისი, ბარონის ქ. № 15.

ყოველდღიური სალიტ. და სპორტიტ. გაზეთი

„სახალხო ფურცელი“

ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ. ნახევ. წლ. 4 მ. 5 კ. 3 თვ. 2 მ. 25 კ. 1 თ. 75 კ. ცალკე № 5 კ.

ადრესი: Тифлисъ, Газ. „Сахалхо Пурцели“ почт. ящ. 190

მეგობარ ნარდოსნის ნაამბობი

(უძღვნი ქუთაისის ნარდოსნებს)

უმაღლესი ნარდის მოთამაშე გახლავარ ვიცი მეც, მაგრამ რათ მინდა, ფული ისე მაქვს ჯიბეში, როგორც თათარს ღორის ხორცი. არა და რა ვქნა სული მიმდის. განა ბევრი მინდა ის ოხერი და ეშმაკის გაჩენილი? სულ ძალიან ბევრი ხუთი მანეთი, სამსაც დავჯერდები სად არის თორემ. ერთი ხელში ავიღო კამათელი და მერე მე ვიცი, აწი არა მკითხავთ როგორი შემთხვევა მაქვს? ერთი ფულიანი კაცი მოვამწყვდიე „კოფენიაში“ ჩამოუარე აქედან იქიდან: ვსთქვი გუნებაში, ჰე ბიჭო გეითხარე მიწა და სადმე იშოვნე საკონე მაინც. ვეცი ამას, იმას დავრბივარ ცოფიან ძაღლივით, ხუთ მანეთს ვინც მასეხხებს სამ წილსა ვპირდები, მაგრამ ვხედავ ტყვილა ვიღლები. რას ვიზამ, დარცხვენილი გულ შეწუხებული ისევ შევყევი იმ ყავახანაში თავი, სადაც ის ფულიანი ვაჟბატონი მეგულვება, ამოუჯექი გვერდით, გაველრიქე რაც შეიძლება, ძალიანი მივეფერე. თითქმის გაუცნობელივით ბრა ვინ ჩაგვთვლის, ვხედავ ვინც ეთამაშა ცოტ-ცოტა ყველამ ჩამოყაჭა მოდი გაუბედო უფულოდ თამაში? რაც იქნება იქნება, ვხედავ წინდაწინ არ თხოულობს „კონს“ რაღა ჩემთან გაუწყრება ღმერთი, მე რავა მომთხოვს! მართლაც სურვილი ამისრულდა დამეთანხმა, ჩაუჯექი სათამაშოდ. ვინც სამ ხელს გააკეთებს, ის გებულობს ხუთ მანეთს. ვნახოთ ეს ჩემ სასარგებლოდ გათაადა, მოვიგე ერთი ხელი, იღებს ხუთიანს და მაძლეის, მე არ გამოვართვი: აბა რა საკადრისია მომცემ ვიცი, თუ თამაში გინდათ, განვაახლეთ, განვაახლეთ თამაში, გარს გვახვევია მაყურებლები. დასწყევლა ღმერთმა სუნი თუ ეცათ. გაჩნდნენ ჩემისთანანი საიდანაც იყო, ამომიჯდნენ გვერდში დამიწყეს ალერსი. ოჰო შვილოსა სად როგორ გაუბი მახე? ძალიან პური გიშოვნია, მეორემ ერთი მუჯლუგუნი მითავაზა და მითხრა: ცოტა მეც უნდა მინაწილოვო, კარგი მოშორდით ნუ მიშლით ხელს, აბა სად მიწაში წავიღებ? კიდევ კარგი ჩემს მოპირდაპირეს ჩვენებური არ ეყურებოდა. „ერთი შენ, წადი რომელია, ჩვენც წილი გვიდევს, რასაც მოიგებო“ მეოთხე ჩაგვერია დაგვიწყო დარიგება. კარგი გაუშვით ნუ უშლით ხელს ნეტავ მოიგებდეს ერთი ხეირიანად მაინც გადავკრათო. ასე ამ მორიგ მორიგებში დავიბენი და და წავაგე მოგებული. გამიწყრა ღმერთი, წავაგე ერთი ხელი, მეორეც, ეხლა ათი მანეთი ერგება. თუ მომთხოვა, რა ვქნა არ ვიცი ძლიერ ვიტანჯები ვაი სირცხვილო? ვინ ოხერს უნდა მოგება! თავი შემექნა ამოსახსნელი, რა ვისაშვალო არ ვიცი! მარტო ვიყო კიდო ჰო იქნებ დავიყაბულო როგორმე, თუ გამიჯიუტდა რა შავ ქვას მივცემ? მაგრამ უბედურება ისაა სავსეა ხალხით. ათის მოგების შემდეგ არ სურდა განეგრძო თამაში, მაგრამ შევიხათრე, ურჩიე: მოდი ათი მანეთი ერთად მოვიდეს სამი ხელის მაგიერ ხუთი ხელი ვითამაშოთ მეთქი. ძლივს ძლივობით დავიყაბულე. ვთამაშობთ, მარა ვხედავ მიწყრება ღმერთი, სამი ხელი მან გააკეთა, მე კი არაფერი ვარ. ჯერ ვეცი აქეთ იქეთ, ჩემს გვერდში მჯდომთ დაუწყე ჩხუბი გლახა ფეხი გქონიათ რაღა მაინც და მაინც აქ მოკალათდით და აღარ ინძრევით ადგილიდან: გეიარ გამოიარეთ, იქეთ მეყავეს დაუბრიალე თვალები, შე ოხრის ტიელო, რა საძაგელი კამათლებია, რასა ჰგავს ესენი? მომიტანეთ სხვა, ეს კამათლები სახეზე შევაყარე, ახალი კამათელის მოლოდინში ვართ, მაგრამ რაკი დააგვიანა მეყავემ „კამათლების“ მოტანა წავავლე ნარდს ხელი გადვისროლე და ნაფოტივით ვაქციე. შეიქნა ერთი ჩხუბი მეყავე და ჩემს შორის, ეხლა ისიც მოვიმატე. დამიწყო ნარდის ფულის თხოვნა, ცალკე ჩემმა პარტნიორმა, მე მოვსთხოვე მეყავეს ნარდი მერე მიუბრუნდი ჩემს პარტნიორს და უთხარი: ხედავ ჯერ არ გამითავებია ხუთი ხელი, როცა გააკეთებთ რაღა თქმა უნდა თუ მოიგებთ ოც მანეთს მიიღებთ მეთქი. მან მითხრა, ათი მანეთი ადრევე მაქვს მოგებული მეორე ათ მანეთსაც ხედავ ვიგებ რადგან მე უკვე სამი ხელი გავაკეთე და შენ კი ჯერ არც ერთია! მაგრამ მე არა გთხოვ ამ მეორეს, და პირველი კი უნდა მომცეთო. მე უთხარი: ერთი სიტყვით, სანამ არ დაასრულებთ ხუთივე ხელს ერთი კაპეიკის მომცემი არა ვარ მეთქი, მეტი რა გზა ქონდა რაკი არ ვეშობოდი ახალი ნარდი მოგვცეს, ეხლა უფრო საინტერესო გადაიქცა ჩვენი თამაში. მაყურებლებმა უფრო მოიყარეს თავი, ოხ ღმერთო რამდენი სიმწრის ოფლი ვაქციე! ხელი ამიკანკალდა, გულის მდგომარეობა რაღა საკითხვაია! ამ დროს უცბად მოტრიალდა საქმე ჩემ სასარგებლოდ. სწორედ მართალი ყოფილა ბრძნული თქმულება. ღმერთი არ გასწირავა კაცსა შენგან განაწირსაო. ქე არ მოვიგე?

ჰოხ ღმერთო ჩემო, როგორი სიხარული ვიგრძენი! ამას ვერ გამოსთქვამ. ჩემმა „პარტნიორმაც“ დაჰყარა ქვები ნარდზე და საჩქაროთ მომშორდა, მე კი დავრჩი. ჯერ ჯერობით ადგილიდგან არ ვიძროდი რადგან ნარდის ფული უნდა გადამეხადა და რაკი ფული აღარ მქონდა, ერთი ნაცნობის თავმდებობის ქვეშ ვიქენი განთავისუფლებული, იმ პირობით რომ ვალდებული ვიყავი ხუთი მანეთი უნდა მიმეტანა მეორე დღეს მეყავისათვის. მე კი მგონია ვერ მოვიქეცი რიგიანად, ფულის გარდახდა კი არა და თვალითაც არ დავნახებივარ როგორც მეყავეს აგრეთვე ჩემს თავმდებსაც. გადავსწყვიტე რაც უნდა უსინიდისო არ მიწოდოს ჩემმა თავმდება, თუნდაც ჩემი მეყავე კი არა და მთელი სუხუმის მეყავეები ზედ მიემატონ და აღარ შემიშვან მათს „კოფენიებში“ მე მაინც მისი გადამხთელი არავარ და არა.

ძუკუ ლოლუა.

მოსენიება

სოფ. ჭაგანი

პავლიამ უთხრა პეტრიას:
—იცი რა, ჩემო ძმია,
ხედავ, დაგვიდგა საქანქრო
და სანეტარო ჟამია.
სიმინდი დიდად გაძვირდა,
ყველგან და ყოველ მხარეში.
და ეხლა გვმართებს ბიჯობა
და ვაჟკაცური თარეში.
ჩვენც აუწიოთ სიმინდსა
ერთი-ორათა ფასები,
გავჭრათ, გამოვჭრათ მაზანდას
კლანჭები, სასტიკ ბასრები.
ნუღა დავზოგავთ ნურავის
ყველას გავაძროთ ტყავები,
ისედაც ტანჯულ—ვვემულებს
ჩავაცვათ ძაძა შავები.

პეტრიამ უთხრა:—„პავლიავ!,
შენ გენაცვალე სიყმეში,
შენსა უმანკო სიყვარულს
ვატარებ გულის სიღრმეში!
შენ ხარ აწ ჩემი იმედი,
ჩემი ხატი და ჯვარია...
ეს უბედური სოფელი
ჩვენი საკრეკი ცხვარია;
ამ სიტყვებით პეტრე დიდი,
პავლე დიდსა გაეყარა,
და პირველმა ეს ამბავი
მისებრ ჩარჩებს მიახარა.

ჭაგნელი ბზიკი

დიდი ჯიხაიში.

ეშმაკო; ჩემო ბიძია,
მამისა შენის ლხენასა,
სტვირი მათხოვე, დაუკრავ,
ავახმატკბილებ ენასა;
კომიტეტს მოვინახულებ,
უწვეროსა, თუ წვერასა,
და ვეტყვი მამაშვილურად:
—ერიდეთ ხალხის წყენასა;
პირადი ანგარიშებით,
„ქსენონს“ ნუ აძლევთ ვნებასა,
თქვენ, თქვენს ჭკუაზე დადიხართ
აჭკიდებიხართ ბელასა
და ანგარიშებს არ აძლევთ
ვისაც სჭირია ყველასა.
შეშტერებიხართ, ვით ფინა,
ბუმბერაზ სოფლის მელასა
იმის ჭანგებზე, ბუქნაობთ,
იმისგან ელით შველასა?
ქსენონ აფთიაქს კი ჭლუპავთ
(ვით ფური მონაწველავსა)

კიკოლა ბიჭი

დეპეშები

ს. ცაიში. შავი ზღვის რკინის გზის გამგეობას გამოუგზავნია პროვიზორ ილიკო მეუნარგიას სახელზე ანონიმური წერილი, რომელშიაც იწერება, რომ თუ გნებავთო „ლარჩველებს“ როგორც სკოლას, ისე სადგურსაც წაართმევთ, რადგან ლარჩველების ვექილებმა ესტატე და ლადომ ვასილის მეთაურობით თავის მონდობილობაზე უარი განაცხადესო და ასეთმა საქმის მდგომარეობამ შესაძლებელია თქვენ სასარგებლოთ იმუშაოსო. შეეცადეთ რამეფერად მეორე სადგურიც „ცაცხვის“ ახლოს

ითხოვოთო. ილიკომ მიმართა ყოველგვარ ზომებს და დარწმუნებულნი ვართ თვით „ეშმაკის“ და მისი კუდის დახმარებით განახორციელოს ეს კეთილი საქმე.

ჩქიმიშელი.

—

ს. ხეთა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და ხეთელების მეტათ სასიამოვნო მამულის შვილი „თადა“, რომელიც გაუგებარ პირებისგან ღებულობდა წლიურად ჯამაგირის სახით ათასამდე მანათს, გარდაიცვალა. საზოგადოებამ დაფნის გვირგვინი უძღვნა ასეთი შრომისთვის. წარმოთქმულ იქმნა გრძნობიერი სიტყვები. ყველა დაწესებულებიდან მოდის სამგლოვიარო დეპეშები.

კორცხო.

—

ხორგა. ხორგელები ხობელებს ემუქრებიან: ჩვენ გიმნაზიას გავაღებთო და თქვენ პირველ-დაწყებითი უმაღლეს სკოლას წაგართმევთო. საჭიროა ეშმაკის ჩარევა, რომ რამეფერად შეარიგოს მებრძოლნი ერთმანეთს ისე, რომ ან პირველი, ან მეორე ხობელებს მაინც დარჩეს.

ნამდვილირე.

—

ხეთა. გამოგდებულ მედავითნე მიხა ტურავას ორი ადგილი მიუღია, მხოლოდ არ იცის რომელი დაიჭიროს. მღვდელი საჯაია შერიგებას თხოულობს და სთხოვს ერთი შენი ადგილი მე დამითმეო. ვინ იცის, თუ როგორ გადაწყდება საქმე. საფიქრებელია საჯაია ტურავას იმედით უადგილოთ დარჩეს და უფრო სამწუხარო ის იქნება, რომ უდრამოთ წავიდეს, მიუხედავათ იმისა რომ იგი ყოველ დღე სასამართლოს კარებში დგას

ნამდვილირე.

—

დ. აბაშა. რადგანაც ბ. კანდელაკის აფთიაქში დამზადებული წამალი სხვა და სხვა მიზეზებისა გამო ნაკლებ საიმედოთ იქმნა ცნობილი, ამიტომ ადგილობრივმა სანიტარულმა კომისიამ მოიწვია ვიღაც სუჯუნელი ებრაელი, რომელსაც ბ.ბ. კომისიათა აზრით ჩინებული დამზადება სცოდნია ყოველგვარ წამლისა.

ჯერჯერობით წამლები მზადდება და იყიდება პარასკეობით საიარმუკო მოედანზე ზემოხსენებულ პირთა ხელშეკრულობის ძალით ებრაელის შემოსავლის, ერთი მესამედი დაბის ბიუჯეტში შედის, რამაც ადვილი მოსალოდნელია ჩვენი დაბის ეკონომიური მხარე ისე შესცვალოს, რომ სხვა მახლობელ ქალაქებს გაასწროს წინ. და ეს იმიტომ, რომ არც ერთი მეომარი მტრის ჩვენ არ გვეშინია, რადგანაც უზრუნველ ყოფილი ვართ ტალახით. ამ საუკეთესო მოკავშირის გაძლიერებას დღითი დღე ვწყობთ ხელს და იმედი გვაქვს ჟამსა განსაცდელისასა ჩვენ მიერ უკუქცეული იქნება მტრის ჯარი; ამნაირად ბ-ნო ეშმაკო, რაკი დაბის ნორმალურ ცხოვრებას ხიფათი აღარ მოელის და, რაკი წამლები მზადდება მხოლოდ აგურისა და კენჭებისაგან, და რადგანაც თვითეულ აგურში ბ. ებრაელი ჯერჯერობით 7-8 თუმანს იღებს და ფიქრობს, ომის მიზეზით კიდო გაადიდოს ფასები, ამიტომ ბ.ბ. კომისიებმა გადასწყვიტეს, რომ საიარმარკო მოედანზე გააშენონ აგურის ქარხანა და საქიმოლაბორატორია. ჯერ-ჯერობით, მხოლოდ მდედრობით სქესის ავათმყოფს ღებულობს ბ. ექიმი!.. ავათმყოფი წამლის მიღებისათანავე სამუდამოთ თავისუფლდება, ყოველგვარ ავათმყოფობისაგან.

—ხანი.

—

ჭიათურა. ჭიათურის შავი ქვის მრეწველთა საბჭოს სახალხო ბიბლიოთეკა-სამკითხველოს ახალ ბინის აშენება ისე სწრაფად სწარმოებს ტეხნიკოს ბ. ირაკლი დეკანოზოვის მეთაურობით, რომ სრული იმედია მომავალ წლის 30 თებერვალს მზად იქნება.

იქიდანვე. ამავე შავი ქვის საბჭომ, ტეხნიკურ განყოფილების შეთანხმებით, თავის უკანასკნელ კრებაზე (ჭიათურაში) დაადგინა: „ესკანით საჭიროდ, დაბა ჭიათურის ცეპელინებისაგან თავდასხმის ასაცილებლად, სამუდამოთ გაუქმებულ იქმნას ბიბლიოთეკა-სამკითხველოში ელექტრონის განათება. ამის მაგივრად მეტად განათებულ იქნას „ბაქარ-მაკაო-ლოტოს“ მოტრფიალეთა საბუდარი კლუბი. ამ დადგენილების გამოცხადებას ჩვენი „ბაქარ-მაკაოისტები“ ოჯახობით ტაშის ცემით მიეგება,

კუდიანი.



ალსასრული ადამიანის ტანჯვისა!

სუსუნატის წამლობა.

ნ წელიწადი გავიდა, რაც ჩემი გამოგონილი წამალი „**რაპიდი**“ გასასყიდად გამოვიდა, სამკურნალო ბაბჭოს ნებართვით № 1295, სუსუნატის წამლობისთვის, როგორც მაგარი, ისე ხრონიკულისა. ამ ხნის განმავლობაში „რაპიდი“-ს პრეპარატით ათასობით ავათმყოფი სრულიად განიკურნა, რომელთაგანაც სამადლობელი წერილები მაქვს. წამლობის ასეთი ნაყოფი უფლებას მაძლევს, პრეპარატი „რაპიდ“-ი, როგორც ყველაზე არსებითი და სწრაფად მომქმედი საშუალება ამ სნეულებისა, ვურჩიო ყველას.

უკანასკნელ წლის დაკვირვებამ კვლავ დამტკიცა, რომ **„რაპიდ“-ის პრეპარატით წამლობის შემდეგ სუსუნატი რომ არ მორჩენილიყოს ამისთანა შემთხვევა არ არის**, ამისათვის გადაჭრით ვაცხადებ, რომ რაც უნდა ხანგრძლივი იყოს ავადმყოფობა ჩემი გამოგონილ საშუალებით სამ კვირაში წამლობა საკმარისია სუსუნატის მოსარჩენათ, **და „რაპიდ-“ის შემწეობით სრულიად მორჩენილად უნდა ჩაითვალოს.**

მართალია, უკანასკნელ წლებში სუსუნატის (გონორეი) წინააღმდეგ ბევრი საშუალება გამოჩნდა, რომელნიც ჩქარა და არსებით განკურნებას ჰპირდებოდნენ და ავადმყოფთ, შესაძლოა, გულიც გაუტყდა ამ წამლობის უნაყოფობით და სამართლიანად შეუძლიანთ ეჭვის თვალით შეჰხედონ ჩემს წამალსაც —ამ შემთხვევაში მამთს ყურადღებას იმ გარემოებაზე მივაქცევ, რო ჩემი რწმენა „რაპიდ“-ის უებრობაში და ჩემი დაპირება ლიტონი სიტყვა რომ არ არის, ამის დასამტკიცებლათ ყველას, ვინც ჩემგან პრეპარატ **„რაპიდ“-ის** ორს ორმაგ ფლაკონს (წამლობის მთელი კურსი) დაიბარებს, წამალთან ერთად ეგზავნება ჩემგან ხელწერილი, რომ უკეთუ არ მოარჩინოს, ფულს უკანვე დაუბრუნებ.

ნიმუში ჩემის ხელწერილისა: „მე, ამისა ქვემორე ხელისა მომწერელი, ამ ხელწერილს ვაძლევ ბატონს (ამას და ამას) იმაში, რომ მივყიდე რა მას ჩემი „პირად“-ის ორი ფლაკონი, სუსუნატის წინააღმდეგ, თავდები ვარ, რომ ოცი დღის წამლობის შემდეგ ეს სნეულება სრულებით გაჰქრება. თუ აღნიშნულ ვადაზე რომელიმე ლაბორატორიაში შარდის გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდება განუკურნებელი, მაშინ ვალდებული ვარ რვა მანეთი დავუბრუნო“ (ხელ. მოწერ.).

ზემოდ მოყვანილ ცნობას, რომ ბევრს განკურნებულ ავადმყოფებისაგან სამადლობელი წერილები, გადავწყვიტე ჩემს განცხადებებში მოვთავსო ხოლმე ახალი მადლობის წერილები. ამ წერილების დედანი (აუარებელი) ჩემთან ინახება და ყოველს მსურველს შეუძლიან მაჩვენა ნახვა. წერილების სინამდვილეში თავდები ვარ, თუ რომელიმე მათგანი დედანს არ ეთანხმება, **ვალდებული ვარ, გადავიხადო 1000 მანეთი რომელიმე საზოგადოების სასარგებლოდ.**

17. მ. ხ., ბ-ნო დელამურე! დიდად გმადლობთ თქვენი წამლის „რაპიდ“-ისათვის, რომელმაც ერთბაშათ იქონია კარგი გავლენა. ძნელია განცხადების დაჯერება, მაგრამ თქვენი განცხადება კომერციული მოსაზრებით არა ყოფილა, არამედ ავადმყოფს განკურნებას ურჩევს, ამაში თვითონ დავრწმუნდი, განმეორებით გიხდით მადლობას.

ნოვგოროდი 14 მარტი, 1914 წ. **პ. ნ. პ. ნ.**

წალმობის სრულ კურსის, ორმაგ წყვილ ფლაკონის და კოლოფ პილულის ფასი ცხრა მანეთი. გაგზავნით და ფასდადებით ათი მანეთი. ფასდადებით გაიგზავნება მხოლოდ მაშინ, თუ ბედ წარმოადგენენ 3 მანეთს.

Съ требованіями и заказами обращаться исключительно кавказское отдѣленіе Московской Лабораторіи М. Деламури. Тифлисъ Эриванская площ. Пушзинская 3 отд. э/м. верхный этажъ.





— ვენაცვალე იმას ვინც ღვინო აკრძალა, პირ-ძაღლი ვიყო თუ აწი მე მის სმას დაუბრუნდე. თვალები ახლა ამეხილა! ჰაი დედასა სად ვიყავ აქამ-დი, რამდენი ფული გავფლანგე ი „პადვლებში“ ქეიფობით, რამდენჯერ ცხარე ცრემლით ვიტირე ცოლშვილი. რამდენი აყალ-მაყალი ამიტეხია, რამ-დენჯერ მცემეს და ვირის აბინოში ჩამსვეს, ამეებს ვინ მოსთვლის. აი ხედავთ საწყალ სერგუას? ოსტა-ტი კაცი ღვინის სმამ როგორ დაღუპა, რუსის „ბა-სიაკათ“ გახადა. მე კი ღმერთმა დიდი დღე მისცეს **ლაღიძეს** ვსვამ მხოლოდ მისი ქარხნის წყალს, ეს ლიმონიაო, ეს ფორთოხალიაო, ეს მარწყვიაო, ყვე-ლა ერთი მეორეზე უკეთესი, ბროლივით ანკარა, ვარდზე უფრო სურნელოვანი და თაფლზე გემრი-ელი. არც თავს გატკენს, არც გულს და არც ჯი-ბეს. ფხიზლათაც ვარ და ჯანსაღათაც, არც ვინმეს ვცემ და აღარც მე მცემენ – ეკონომიაა რაღა!

ნებადართულია სამხ. ცენზორისაგან. სტამბა „შრომა“ რედაქტორ-გამომცემელი თეოფილე ბოლქვაძე.